

ბ-ნო ზაზა, მაპატიეთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ, მაგრამ მაქვს გასამართლებელი საბუთი: ძალზედ დაკავებული ვიყავი, რადგან თბილისში სექტემბრის ბოლოს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ნანოტექნოლოგიებში, რომლის ორგანიზატორის თავმჯდომარე მე ვიყავი და თქვენი ეფექტური გამოთქმის თანახმად, „თანამედროვე მეცნიერული შედეგების დიდ სისულელედ გამოცხადებას“ ვემსახურებოდი. ამ ფრაზას არ გაგახსენებდით, მაგრამ თქვენ ბოლო წერილში ამ ეფექტური ფრაზის სისწორის დამტკიცებას „მკაცრი, სამეცნიერო სტატისტიკისათვის ჩვეულ სტილში“ საკმაოდ დიდი, ერთ გვერდზე მეტი, დაუთმეთ (პუნქტი #3). ამის გამო კიდევ ერთხელ მოკლედ გაწვდით განმარტებებს ჩემი მოხსენების და წერილის შესახებ.

პირველ პუნქტში ჩემი გულისტკივილის გამო თქვენ წერთ: „ნამდვილად გასაკვირია ეს ტონი სად დაინახეთ? თუ საკითხი ეხება იმას, რომ მე შევეცადე მკაცრი, სამეცნიერო სტატისტიკისათვის ჩვეულ სტილში, ანუ პუბლიკაციების მოხმობით და შესაბამისი არგუმენტებით დასკვნები გამეკეთებინა - გეთანხმებით“. ბ-ნო ზაზა, ნუ შეგყავთ თქვენი თავი და სხვაც შეცდომაში. თქვენ მე დოქტორი მიწოდეთ და ეს წოდება ბრჭყალებში არ ჩასვით, ე.ი. გჯერათ, რომ მე დოქტორი ვარ, თანაც ამ სიტყვის ძველი გაგებით, რომლის მიხედვით ხარისხის დაცვაზე მხოლოდ დასაშვებად სავალდებულო იყო იმპაქტ ჟურნალებში მინიმუმ 20 გამოქვეყნებული ნაშრომი და 3 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელობა. ახლა კი ყველაფერი ეს 10-ჯერ მეტი მაქვს. ასე რომ „მკაცრი, სამეცნიერო სტატისტიკისათვის ჩვეულ სტილში“ ჩემთვის სწორედ რომ ჩვეული სტილია (მაგრამ ამ სტილის გამოყენება პოპულარული მოხსენებისათვის მიუღებელია და ამიტომ მისი გაკეთება ბევრად ძნელია. ისე კი მინდა შეგახსენოთ, რომ ნაწერის ფორმას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მის შინაარსს. მაგალითად ბიბლიას მოვიყვან, იგი არ არის დაწერილი მეცნიერებისათვის „მკაცრი, სამეცნიერო სტატისტიკისათვის ჩვეულ სტილში“, მაგრამ სიბრძნე გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა ერთად აღებულ სამეცნიერო სტატიაში! თუ თქვენ ამაშიც არ მეთანხმებით?). ამიტომ ეს სტილი გულს ვერ მატკენდა. გული არც იმან მატკინა, რომ თქვენ, როგორც შუა საუკუნეების მენტორმა ჩამორჩენილი მოსწავლე გაგვწკეპლეთ თუ გაგვროზგეთ მე და ჩვენი ცენტრის სემინარი. არა! გული მე იმან მატკინა, თუ რამდენად ღრმად შემოსულა ქართველი ახალგაზრდობის მენტალიტეტში დასავლეთის კულტურის ის მანკიერი ნაწილი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ყველაფერი დასაშვებია მიზნის მისაღწევად“, (რა მიზანი გქონდათ, ამაზე მოგვიანებით), რომ მორწმუნე, მართლმადიდებელი ახალგაზრდა მეცნიერი, მითუმეტეს წმ. პავლე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ცენტრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ასეთი აგრესიული და დამცინავი ტონით მიმართავს თავის მორწმუნე კოლეგას. ბ-ნო ზაზა, თქვენი პირველი წერილის სათაური, წინადადებები: „ჰაერზე საუბარი“, ავტორის „მსჯელობა ფსევდომეცნიერული დისკუსიების რანგში გადის“ და წერილის ბოლო წინადადება ღირსეულ ადგილს დაიკავებდა ყვითელი პრესის შედეგებში! თუ მე ვცდები, რაც დასაშვებია, რადგან ადამიანი ვარ, თქვენს მოძღვარს (იმედია გყავთ) კითხეთ. არცერთი მეცნიერი, რაც არ უნდა დარწმუნებული იყოს კოლეგის შეცდომაში, ასე აგრესიულად და აგდებულად არ გაკიცხავს მას, როგორც თქვენ ეს იკადრეთ ჩემი და ჩვენი სემინარის მიმართ.

თქვენი პირველი წერილი სავსე იყო ცილისწამებებით - ჩემდამი იმის მიწერებით, რაც მე ან არ მითქვამს, ან არ მიგულისხმია. მეორეც არ არის თავისუფალი ამისგან, თუმცა საბედნიეროდ, ნაკლებად. მაგალითად, პუნქტ 3-ში თქვენ მე ისევ მაწერთ სიტყვებს: „ეს კოსმოლოგიური თეორია წარმოადგენს აბსურდის მწვერვალს“, რომელიც ხანეს ავლენს ეკუთვნის. მე კი ასეთი მკვეთრი განცხადების მომხრე არა ვარ, მაგრამ თქვენ ამის მიწერა დაგჭირდათ თქვენი პირველი წერილის ბოლო ფრაზის გასამართლებლად! არა ვარ სწორი? მაშინ როგორ მიხვდით, როგორც გულთმისანი,

რომ მე ამას პასუხში დავწერდი, როცა თქვენი ეფექტური ფრაზა „თანამედროვე მეცნიერების დიდ სისულელედ გამოცხადება“ პირველ წერილს აგვირგვინებდა! მეორე დროს, ისევე როგორც სხვა ფიზიკური სიდიდეების გაზომვას მე არ ვაყენებ ექვის ქვეშ (იხ. მოხსენების 25-ე გვერდის ბოლო აბზაცი) თქვენ კი მაბრალეხთ „აქედან დასკვნის გაკეთება, რომ დროის გაზომვაც არასწორად ხორციელდება, ცოტა უზუსტოდ მიმაჩნია“. გამოგიტყდებით, რომ მე ჯერ კიდევ 60-იან წლებში ქ. ლენინგრადის ა. იოფეს სახელობის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტის ასპირანტი ჩემს უფროს კოლეგებთან ერთად, იმ დროსათვის რეკორდული მცირე დროის მონაკვეთის 10⁻⁸ წმ. დროის მონაკვეთის გასაზომ აპარატურას ვქმნიდით. ისე რომ, დროის გაზომვა და მისი სიზუსტის შეფასება კარგად ვიცით. თქვენ კი მინდა გაგახსენოთ, რომ გაზომვა გამოიყენება ფიზიკური სიდიდის მხოლოდ რიცხობრივი დახასიათებისათვის და არა მისი ბუნების დასადგენად. „რაიმე სიდიდის გაზომვა ნიშნავს მის შედარებას მისივე გვარის ფიზიკურ სიდიდესთან (სიგრძის- სიგრძესთან, წონის - წინასთან და ა.შ.), რომელიც პირობითად ერთეულად არის მიღებული“. თუ ერთეული იცვლება, ერთი და იგივე სიდიდე სხვადასხვა რიცხვით გამოისახება. თუ დრო არათანაბრად მიმდინარეობდა, ერთეული სიდიდეც სხვადასხვა იქნებოდა და მათი ერთნაირი ერთეულებით გამოსახვა არსებულ რიცხვებს შეეცვლიდა. აქვე კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ კოზირევის და სხვათა მიერ დროის ბუნების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები მოვიყვანე არა იმიტომ, რომ მათი სისწორე განმეხილა, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ მეჩვენებინა, რომ დროის ბუნება დაუდგენელია. ამიტომ სრულებითაც არ ვაპირებ რომელიმე მათგანის სისწორეზე დისკუსიის გამართვას (მიუხედავად იმისა, რომ კოზირევის თეორიით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ იმდენად კარგად ვერ ჩავწვდი, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო შრომები გავაკეთო (მე კი მიმაჩნია, რომ რაიმე საკითხის სპეციალისტად თავის ჩათვლა შეგიძლია მას შემდეგ, როდესაც ამ დარგში შრომას გამოაქვეყნებ). ჩემთვის სრულიად საკმარისია თქვენი თანხმობა პუნქტი 8 „თუ საქმე საკუთრივ დროის ბუნებას ეხება და მის ფილოსოფიურ გააზრებას, მაშინ გეთანხმებით“. იმიტომ რომ დროის ბუნების დაუდგენლობა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ჩემს მოხსენებაში. „არათუ კავშირშია პრობლემასთან“, არამედ ერთ-ერთი ფუძემდებელი საკითხია. იმას, რომ დროს ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ზუსტად ვზომავთ, სრულებითაც არ ნიშნავს მისი ბუნება ვიცით. ისევე გაგახსენებთ ეინშტეინის გამოთქმას: „მე კარგად ვიცი რა არის დრო, მაგრამ როცა მეკითხებიან, რა არის დრო, მე ახსნა არ შემიძლია“.

ამავე პუნქტში თქვენს მიერ სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა, რომ რადაცის ნაწილს გულისხმობს, არ ვიცოდი. რამდენიმე სპეციალისტს ვანახე და ვკითხე, არც იმათ იცოდნენ. კიდევ დამრჩა ნაცნობი აკადემიკოსი-ლინგვისტი, იქნებ იმან იცოდეს და ამიხსნას.

ახლა 7500 წლის შესახებ. ძალიან კარგი, რომ თქვენ 7500 წელი არ მიგაჩნიათ ბიბლიურ თარიღად, მაგრამ უამავი მეცნიერი-ევოლუციონისტი ამ თარიღის გამო დასცინის ბიბლიის დოგმებს ისევე „მკაცრ მეცნიერულ სტილში“, როგორც ეს თქვენ იკადრეთ ჩემს და ჩვენი სემინარის მიმართ. გარდა ამისა, კერძო საუბრებიდან ვიცი, რომ სასულიერო სემინარიის ბევრი სტუდენტი და კურსდამთავრებული ამ შეუსაბამობით არის დაინტერესებული, ამიტომ ამ შეუსაბამობის ასახსნელად ან მასზე საფიქრელად დროის ბუნების ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია. ამიტომ კიდევ ერთხელ მოგმართავთ მოკრძალებული თხოვნით, თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია დროის ბუნების შესახებ, გთხოვთ მომაწოდოთ.

სამწუხაროდ, თქვენი რეკომენდაციით, რომ რომელიმე მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოვაქვეყნო აზრი, რომ „რადიოაქტიური ნივთიერება ზოგიერთ ქიმიურ შენაერთში შესვლის შემდეგ იცვლის

თავის ნახევარდაშლის პერიოდს“ ვერ ვისარგებლებ, რადგან ის უკვე ქიმიის წიგნში წერია : „ცნობილია, რომ მეტალურ მდგომარეობაში 41NB⁹⁰ - ის ნახევარდაშლის პერიოდი 3,6%-ით ნაკლებია ვიდრე მის შენაერთში ფტორთან“ (ჯ. კემბელი „თანამედროვე ზოგადი ქიმია“, ტ. I, გვ. 83).

მე-4 პუნქტში თქვენ ჩემთვის უცნობ ვაიმბერგს ახსენებთ, შეიძლება ის მართლაც კარგი მეცნიერია, მაგრამ არა გამოჩენილი, საყოველთაოდ აღიარებული და ყოველი პროფესიის მქონე მეცნიერისათვის ცნობილი. აქვე ეინშტეინს დავიმოწმებ: „არც ერთ დიდ მეცნიერს არ შევხვედრივარ, რომელმაც სამყაროს საიდუმლოებებში შეაღწია და ურწმუნო ადამიანი ყოფილიყო, რადგან ამ საიდუმლოებებში შეღწევისას ჩვენ ღვთის ხელს ვხედავთ“.

მე-5 პუნქტში ჩემი აზრის გასაგებად იხილეთ ჩემს მოხსენებაში მოყვანილი ჭეშმარიტების განმარტება. რაც შეეხება ნიუტონის კანონს, თქვენ იმეორებთ იმას, რაც მე მაქვს გამოთქმული 35-ე გვერდის ბოლო წინადადებიდან 36-ე გვერდის აბზაცამდე.

მე-6 პუნქტში თქვენ ბრძანებთ: „ამასთან დაკავშირებით დაგეთანხმებოდით და უფრო გავამკაცრებდი თქვენს დასკვნას და ვიტყოდი, რომ ვერც ვერასოდეს შეძლებს დაამტკიცოს“. აგაშენა ღმერთმა! თუ მთავარში მეთანხმებით, რაზე მეკამათებით?! ან რატომ დაწერეთ თქვენთვის „არასასიამოვნო“ „მოხსენების კრიტიკული მიმოხილვა“, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, არ არის „კრიტიკული მიმოხილვა“. ის მხოლოდ ერთ თეზას ეხება, კერძოდ, სამყაროს წარმოშობის საკითხს. ამ მიზეზით გამოყავით თქვენ ბატონი მერაბ ჯიბლაძის გამოსვლაც. ამ საკითხში ჩვენ ვერ შევთანხმდებით, რადგან დღევანდელი ჩემი ცოდნისა და შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ ჩემს სისწორეში (თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ვცდებოდე, რადგან ადამიანი ვარ, და ჩემი განვითარების მომავალ ეტაპზე შეხედულება ამ საკითხზე შევიცვალა). შემდეგ თქვენ დაბრალების და ცილისწამების განსაცვიფრებელ ნიჟს ამჟღავნებთ. მეთანხმებით რა, რომ მე ვაცხადებ: მეცნიერებას ჯერ-ჯერობით არ ძალუძს ბიბლიური სიბრძნის ახსნა, მეკითხებით: „რატომ მიგაჩნიათ, რომ ბიბლია ერთგვარი გეოფიზიკის ან ასტროფიზიკის როლსაც ითვისებს“. სად არის ლოგიკა? ეს ფრაზა მე მისი გაცვეთილობის გამო ჩემს მოხსენებაში არ გამოვიყენე.

აქვე თქვენ წერთ, რომ გაგიხარდებათ, თუ იმას არ ვფიქრობ, რასაც ვწერ. სამწუხაროდ, ვერ გაგახარებთ: რასაც ვფიქრობ და რაშიც ამ მომენტისათვის ვარ დარწმუნებული, იმას ვწერ.

დანარჩენი თქვენი ძირითადი პუნქტები „რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მოგეჩვენათ“ არაფერ ახალს არ შეიცავენ, ამიტომ პასუხები იხილეთ ჩემს მოხსენებაში და პირველ წერილში.

მე-3 პუნქტის ბოლოში თქვენ ბრძანებთ, რომ თქვენ სტატიაში გქონდათ „მცდელობა (იგი) გაჰყოლოდა არა მარტო სტატია, არამედ სემინარის მსვლელობას“, რაც ასევე არასწორია. რადგან მსვლელობას რომ გაჰყოლოდით, უნდა აღგენიშნათ, რომ გამომსვლელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა სემინარი დადებითად შეაფასა და მადლიერებით მოიხსენია. თქვენ კი გამოჰყავით მხოლოდ ის, ვინც სემინარის მიმართულება გააკრიტიკა, მიუხედავად ამისა კი, დიდი მადლობა გადაუხადა სემინარს „ჩემთვის ბევრი საინტერესო ფაქტი იყო მოხმობილი. ძალიან დიდი მადლობა ყველას. ჩემი შემეცნებითი თვალსაწიერი გაფართოვდა და ბოდიშს ვიხდი ჩემი ასეთი გამოსვლისათვის“. ყველა გამომსვლელი, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერს შეეფერება, ზრდილობიანად და ყოველგვარი აგრესიის გარეშე გამოსთქვამდა თავის აზრს. ასევე მოიქცა ბატონი თ. ბუაძეც, მაგრამ თქვენ იგი გამოყავით და შეაქეთ კიდევ. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ იგი თქვენი ცენტრის წევრია. ახლა კი მინდა გამოვთქვა

მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ დაწერეთ თქვენ ორი „კრიტიკული“ წერილი (ღმერთმა ქნას მცდარი იყოს), რომელიც თქვენი ორი წერილის წაკითხვის შემდეგ ჩამომიყალიბდა. მხოლოდ იმისთვის, რომ „უჩემოდ ვინ იმრერეთო?“ და გაგვწყვეპლეთ. თქვენი აზრით, ყველას თავისი ადგილი მიუჩინეთ. მაგრამ თუ ბატონი თ. ბუაძის გამოსვლით ვიმსჯელებთ, თქვენს ცენტრში ყველა არ იზიარებს თქვენ აგრესიულ დამოკიდებულებას მოყვასისადმი, ეს კი იმედს გვიტოვებს ჩვენი ცენტრის თქვენ ცენტრთან თანამშრომლობისა. ამით ჩვენს შორის ყველაფერი გავარკვიეთ!

ბატონო ზაზა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოხსენების მთავარ იდეაში მეთანხმებით, გულახდილად, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ თქვენი პირველი წერილი აგრესიულობით, დამცინავი ტონით და ცილისწამებით არის სავსე, მეორე კი - მართალია შერბილებული, მაგრამ პირველი წერილის გამართლებას ემსახურება. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ქრისტიანული გაგებით ცოდვაა. რატომ აიღეთ თავზე ამდენი ცოდვა? მაგრამ ქრისტიანული რწმენა ამავე დროს შემწყნარებელია და თუ ცოდვას, თქვენს მოძღვართან მოინანიებთ, ღმერთი მოწყალეა და ალბათ შეგინდობთ.

პატივისცემით,

ალექსი გერასიმოვი